


ჩვენი ეკლესიის ცხოვრება.....	2
პატრიარქის 2022 წლის მუზეუმური მიზანები.....	3
მომ და მშვიდობა	4
მსოფლიოში.....	6
თეოდა იოსების დღესასწაული პრალები.....	8
ინფერნელი იმური ლოცვა მშვიდობისათვის	9
„ერისთავ უკანასკნელი მდგრება“	10
ჩანართი: ალექსონის თაძარი მარმარაში (ვენეცია).....	I-IV
საადგომო კერძები.....	11
ჰობირდ კელი.....	12
შვიდა ცლის თავი დანე ალიბირის დაბადებიდან	
შეხედეთ ზის ფრიველებას	16
ვაზა ბალოზილი.....	17
რათომ, დედა? რათომ, მამა? ..	18
დემოტი თბილელს!.....	19

პრილი

- 9** აპრილი - ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)
- 10** აპრილი - ბზობა
- 13** აპრილი - მირონის წირვა საკათედრო ტაძარში, 11. 00
სთ-ზე
- 14** აპრილი - დიდი ხუთშაბათი
- 15** აპრილი - წითელი პარასკევი, მძიმე მარხვა, შესაწირი
წმ. მიწისათვის
- 16** აპრილი - დიდი შაბათი, დუმილის დღე
- 17** აპრილი - აღდგომა
- 17-23** აპრილი - აღდგომის მსგეფსი
- 23** აპრილი - მ. დამიანე საბაკაშვილის გახსენება (+1943)
- 24** აპრილი - პასექის II კვირადღე, ღვთიური
გულმოწყვალებისა, ივლიტის საკრებულოს დღეობა
- 25** აპრილი - წმ. მარკოზ მახარებლი, დღესასწაული
- 26-27** აპრილი - მღვდლების, დიაკვნებისა და
ბერმონაზვნების შეხვედრა
- 29** აპრილი - ეკატერინე სიენელი - ევროპის მფარველი,
დღესასწაული
- 30** აპრილი - 1 მაისი - დანიშნულთა შეხვედრა წეროვანში

**მილოცავი აღდგომის
ბრწყინვალე დღესასწაულს!
დღევანდელი დღის მადლი
შეგენიოთ ყველას!**
**არასოდეს მოგალებოდეთ
ისომ ერისთავ სიყვარული!**
**ყოველი ლოცვა–ვეტრება
ამისრულით უფალეა!**

„საბას“ რედაქცია



აოდგომა 2022: „მშვიდობა თევზედა“

„იმავე დღის საღამოებაშს, ერთშაბათს, როცა იუდეველთა შიშის გამო დაკეტილი იყო კარი, სადაც მონაფეები იყვნენ, მივიდა იქსო და დადგა შუაში, და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“ ეს რომ თქვა, უჩვენა ხელებიცა და ფერდიც. მონაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით“ (იოანე 20,19-20).

თქვა მშვიდობაო, — სწორედ ის, რაც აკლდა ამ შეშინებულ და დაზაფრულ ადამიანთა ჯგუფს, სწორედ ის, რაც გვაკლია დღეს ამდენ ადგილას და ამდენ ადამიანს. უკრაინის მრავალტანჯული მიწა ქცეულა ნიშნად, სიმბოლოდ და გულის განმგმირავ ძახილად ყველასათვის. იქსო მშვიდობას ანიჭებს სამყაროს და უჩვენებს ამ მშვიდობის ადგილებს: ნალურსმევ ხელ-ფეხსა და გახლეჩილ გულს. ისევე, როგორც ბეთლემში გახდა ღმერთი ჩვილი, რათა ყველას შესძლებოდა მასთან უშიშრად მისვლა, ჯვრისა და სიკვდილის შემდეგ ღმერთი ცოცხლად ვლინდება, ოლონდ არა მხოლოდ: ნარგიდენს თავის იარებს, მშვიდობის საფასურს, ჯვრიდან რომ მოგეცა, შენი გამოსყიდვის ფასს.

იქსოს აღდგომა დაჭრილი აღდგომაა, რომელიც მოწყვლადი გახდა, რათა ნებისმიერს შეეძლოს მისი გამოვლა; ყველანი დაჭრილი ვართ და ყველა განვიცდით დახსნის სიღრმისეულ საჭიროებას, — საკუთარი თავისაგან, შემთხვევისაგან, არარაო-

ბისაგან, სიკვდილისაგან დახსნის საჭიროებას. აღმდგარი და ამავე დროს დაჭრილი იესო გეგებება და გიხსნის, თუმცა განგაცდევინებს, ასევე, აღდგომას. სწორედ შენი იარები, ომში ჩაბმული ხალხების იარები და სხვადასხვაგვარად ტანჯული ხალხის იარები, მის იარებთან ერთად ის გზაა, რაც ამგვარი გამოცდილების შესაძლებლობას იძლევა.

იგი, მამისაგან მოვლენილი, რათა იყოს მშვიდობა და მიტევება, მოგანდობს თავისსავე მისიას: იყავ მშვიდობა და მიტევება, პირველ რიგში, საკუთარ თავში, თავად ჩვენთვის, საკუთარი თავის მიღებითა და შეყვარებით, საკუთარი საზღვრებისა და მანკიერებათა აღიარებით, შემდეგ კი ამის შედეგი იქნება ის, რომ ნებისმიერი შემსვედრისთვის ვიქენებით მშვიდობა და მიტევება. აღმდგარის იარები იქცევა იმ ყოველი ქალისა და კაცის იარებად, რომელთაც სჭირდება მზრუნველობა, მოვლა, მშვიდობა და მიტევება. ყველაშია იარები! „ჩაყავი შენი თითი ამ იარებში“, ანუ, დაინტერესდი, გაიგე, რამ გამოიწვია ისინი, უმკურნალე მათ შენი სიყვარულით და... იგემებ მშვიდობის სიტკბოებას.

„ნეტარ არიან მშვიდობის მაშენებელნი“: ისინი აღმდგარის ხალხია!

მაშ, დღეს აღდგომას გილოცავთ სიტყვებით: „მშვიდობა შენდა და თქვენ ყოველთა!“



უფრო სწორად, „ომი თუ მშვიდობა“, როგორც ერთმა პატარამ განუცხადა თავის მასწავლებელს: „მასწავლებელო, ასეთია ომისა და მშვიდობის პარადოქსი. ერთმანეთს ვერ ეგუებიან, ვინაიდან, როცა ომი მოდის, მშვიდობა კვდება. ერთმანეთს ვერ იტანენ“. მასწავლებელმა ბავშვებს რამდენიმე ტექსტი წაუკითხა ომისა და მშვიდობის შესახებ, დაიწყო ბრეხტით, დიდი გერმანელი დრამატურგით: „გენერალო, შენი ბომბდამშენი ძლიერია/ტყეს და ასობით კაცს ანადგურებს/, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: მას ტანკისტი სჭირდება“. ამ სიტყვებზე ათი წლის გიორგიმ შესძახა: „ომს მხოლოდ ადამიანები იწყებენ“, მარიანამ კი დაამატა: „ადამიანების გარეშე იარაღი ვერ გაისვრის“. საუბარში ნატოც ჩაერია: „ადამიანები განზრახ ქმნიან იარაღს, რომ შემდეგ მოკლან“ მაშინ მასწავლებელმა კიდევ ერთი ფრაზა წაიკითხა, რომელიც ასე სრულდებოდა: „არის ისეთი რამ, რაც არასოდეს უნდა ჩაიდინო/არც დღისით, არც ღამით/, არც ზღვაზე, არც ხმელეთზე/, მაგალითად, ომი“.

კიდევ მრავალი შთამბეჭდავი ფრაზის მოყვანა შეგვიძლია, რასაც ამ პერიოდში მასმედიის საშუალებით გავეცანით:

„დღეს ყველა საუბრობს მშვიდობაზე, მაგრამ არავინ ზრუნავს მშვიდობისთვის. ამქვეყნად მხ-

ოლოდ კონკურენციას გვასწავლიან, ეს კი ნებისმიერი ომის დასაწყისია. როცა ადამიანებს ასწავლიან თანამშრომლობასა და თანადგომას, სწორედ ეს იქნება ზრუნვა მშვიდობისათვის“ (მარია მონტესორი).

„ერთადერთი სამართლიანი ომი არის ის, რომელიც არ იმართება!“.

„ადამიანმა ალმოაჩინა ატომური ბომბი, მაგრამ ამქვეყნად არცერთი თაგვი არ დაუგებს თაგვებს ხაფანგს“ (ალბერტ აინშტაინი).

„არაძალადობის გზა უფრო მეტი გამბედაობას მოითხოვს, ვიდრე ძალადობის გზა“ (მაჰათმა განდი).

„მშვიდობიანობის დროს შვილები კრძალავენ თავიანთ მამებს, ომის დროს კი მამები კრძალევენ თავიანთ შვილებს“ (ჰეროდეტე).

„როცა მდიდრები ერთმანეთს ეპრძვიან, კვდებიან ღარიბები“ (ჟან პოლ სარტრი).

„ყველა ომი წარმოებულია ფულის გამო“ (სოკრატე).

„როგორც ცეცხლით ცეცხლს ვერ ჩააქრობ, წყლით წყალს ვერ დააშრობ, ასევე ძალადობით ვერ აღმოფხვრი ძალადობას“ (ტოლსტოი).

„გახდი ის ცვლილება, რომლის ნახვაც გსურს სამყაროში“ (მაჰათმა განდი).

„ყველაზე მეტად დავიღალე იმ ბოროტებით,

რასაც ადამიანები სჩადიან ერთმანეთის მიმართ. დავილალე ყველა იმ ტკივილით, რასაც ვგრძნობ, ყოველდღე თვალყურს ვადევნებ მსოფლიოს, ეს ჩემთვის მეტისმეტია“ (ფილმიდან: „მწვანე მილი“).

„შეუძლებელია ომის ჰუმანიზება. მხოლოდ მისი ჩახშობა შესაძლებელი“ (აინტერისტი).

და როგორ არ გავიხსენო ამ პერიოდში გამოთქმული მოსაზრებები:

„რომ დამენახა დიდი სოლიდარობა ადამიანთა შორის, - რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან, მხარს უჭერენ, გულს უხსნიან, - ვიტყოდი: რა კარგია, ისინი დაძმობილდნენ! დასკვნაც ასეთი იქნებოდა: კმარა, გამოცდა ჩააბარეს, ომი აღარ არის საჭირო, აჲა, როგორც მშვიდობის მადლი“ (ვისვალდას კულტოკასი, კიევის სამოციქულო ნუნციუსი).

„მსოფლიო მშვიდობა ყოველთვის იწყება ჩვენი პირადი მოქცევით“ (პაპი ფრანცისკე).

„დიდება იესო ქრისტეს! ძვირფასო ქრისტესმიერო ძმანო და დანო! მოგესალმებით თავისუფალი უკრაინის დედაქალაქიდან... ამ დღეს, 2022 წლის 2 მარტს, წმიდა მამის, რომის პაპ ფრანცისკეს მოწოდებით, მთელი მსოფლიო ერთიანდება ლოცვასა და მარხვაში უკრაინაში მშვიდობისათვის. დღეს განსაკუთრებული დღეა ყველა ჩვენგანისთვის, რადგან ვგრძნობთ, რომ ჩვენს გაჭირვებაში

მარტო არ ვართ“ (სვიატოსლავ შევჩუკი, კიევის მიტროპოლიტი, უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური).

„ჩვენ ვცდილობთ დავრჩეთ მშვიდობისმყოფელნი, განსაკუთრებით მიმდინარე კონფლიქტების ფონზე... ეკლესია მონაწილეობას ვერ მიიღებს კონფლიქტებში, ის შეიძლება იყოს მხოლოდ მშვიდობის ძალა“ (კირილ I, მოსკოვის პატრიარქი).

„ომი მთლიანად სახარების საპირისპიროა. არავის აქვს მისი დაწყების ლეგიტიმური უფლება!!! მშვიდობას, მშვიდობას უნდა ესწრაფო!“ (ჯუზეპე პაზოტო, კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი).

„ჩვენც, ჩვენი მხრივ, მივმართავთ ყველას, განსაკუთრებით ქრისტიან ძმებსა და დებს, წინ აღუდექით სიცრუესა და სიძულვილს, იყავით არა სიძულვილისა და ძალადობის გამრავლების, არამედ შერიგების წყარო“ (რუსეთის კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსთა კონფერენცია).

... და მასწავლებელმა ამ კითხვით მიმართა ბავშვებს: „გახსოვთ მკვდრეთით აღმდგარი იესოს საპასექო მისალმება?“ „დიახ!“ - ყველამ, ხელის აწევით, ერთხმად შესძახა მხიარულად: „მშვიდობა თქვენდა!“ - და არა ომი, - ჩურჩულით წარმოთქვა წინა რიგში მჯდომმა ყველაზე პატარამ.



პათოლიკე ეკლესია მსოფლიოში რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ



პათოლიკე იერარქები რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ

უწმიდესი ფრანცისკე: „ძვირფასო დებო და ძმებო! დღეს უკრაინაში სისხლი და ცრემლი იღვრება. დღითიდლე იზრდება მოკლულთა რიცხვი, მატულობს ლტოლვილთა ნაკადი. მათი უმრავლესობა ქალები და ბავშვებია. დაბეჯითებით მოვუწოდებ, გაიხსნას ნამდვილი ჰუმანიტარული დერეფნები, ალყაში მოქცეული ქალაქების მოსახლეობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება მიეწოდოს. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავშესაფარს აძლევს ლტოლვილებს. ჩემი უპრეველესი მოწოდება კი სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა და მოლაპარაკებების დაწყება. აუცილებელია დავიცვათ საერთაშორისო სამართალი. მადლობელი ვარ უურნალისტების, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად ინფორმაციას გვაწვდიან. დებო და ძმებო, გმადლობთ თქვენი მსახურებისთვის! თქვენი წყალობით დავინახეთ ამ ხალხის ტრაგედია, დავინახეთ ამ ომის სისასტიკე“.

უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკეთა წინამდლოლი, მთავარეპისკოპოსი სვიატოსლავ შევჩუკი: „ყოველდღე ყუმბარებს გვიშენენ. ყველაფერს ანგრევენ, ეკლესიებსაც. მოვა დრო და ისევ ყველაფერი გვექნება. ოლონდ აღარ გვეყოლება ის მღვდლები, რომლებიც მოკვიკლეს“.

წმიდა საყდრის მუდმივი დამკვირვებელი გაეროში, კარდინალი გაბრიელე კაჩი: „წმიდა საყდარი ითხოვს ჰუმანიტარულ უსაფრთხო დერეფნებს ჰუმანიტარული ორგანიზაციებისთვის, რათა მათ შეუფერხებლად და დროულად შეძლონ უკრაინის მოსახლეობის დახმარება. წმიდა საყდარი უერთდება სხვა ქვეყნებს, რომლებიც სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებელ შეწყვეტასა და დიალოგის დაწყებას მოითხოვენ. კათოლიკე ეკლესია და მისი საქველმოქმედო დაწესებულებები ეხმარებიან უკრაინის მოქალაქეებს და არ შეწყვეტენ დახმარებას კონფლიქტის დასრულებამდე“.

წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი პიეტრო პაროლინი: „იესომ თქვა: „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ღვთის ძებად იწოდებიან“. ეს სახარებისეული ნეტარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა უკრაინის მიწაზე სისხლისა და ცრემლის მდინარეები მიედინება. ვილოცოთ იმისთვის, რომ ისტორიის უფალმა ქვეყნების მმართველთ თანხმობისა და მშვიდობის ძიების გამბედაობა მისცეს“. 8 მარტს, სატელეფონო საუბრისას, კარდინალმა პაროლინიმ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ლავროვს ძალადობის შეწყვეტისკენ და ჰუმანიტარული დერეფნების უზრუნველყოფისკენ მოუწოდა.

კარდინალი კონრად კრაევსკი: „პაპმა ფრანცისკემ ტანჯულ ერთან ყოფნის მისია დამაკისრა. ქრისტე მუდამ ტანჯულთა მხარესაა. სახარების თანახმად, ყველაზე ქმედითი იარაღი ლოცვა და გულმოწყალებაა“.

ურთიერთობის „ყრმა იესოს“ ბავშვთა სახვადმყოფოს უკრაინელი პაციენტები ინახულა

პატარა პაციენტები უკრაინიდან მკურნალობას საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილებაში გადიან. მათ შორის არიან როგორც ქრონიკული დაავადებების, ასევე აფეთქებების შედეგად მიღებული ჭრილობების მქონე ბავშვები. ამჟამად სტაციონარში ცხრამეტი უკრაინელი მცირენლოვანია, ამბოლატორიულ მომსახურებას კი ორმოცდაათამდე პაციენტი იღებს.

მიელანჯელოს სამი „პიეტა“

ფლორენციაში მიელანჯელოს სამი „პიეტა“ ექსპოზიცია გაიხსნა. როცა მიელანჯელომ კარარის მარმარილოსგან მგლოვიარე მარიამისა და მის მკლავებზე დასვენებული ქრისტეს ქანდაკება გამოკვეთა, მხოლოდ ოცდახუთი წლისა იყო. მოგვიანებით მან ქრისტეს დატირების კიდევ ორი, ნაკლებად ცნობილი ქანდაკება შექმნა. მეორე, ე. წ. „ფლორენციული პიეტა“ ნიკოდემოსის, მარიამ მაგდალელისა და ქალწულ მარიამის მიერ იესოს ჯვრიდან გარდამოხსნის სცენას გამოსახავს. მესამე ქანდაკების, „რონდანინის პიეტას“ დასრულება მიელანჯელომ ვერ მოასწრო, თუმცა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ის სწორედ ამ ქანდაკებაზე მუშაობდა.

ერაყში პატოლიკური საინფორმაციო სახარენტო მაცხსნა

25 მარტს ერაყში, ერბილის კათოლიკურ უნივერსიტეტში „ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის კათოლიკური ინფორმაციის ასოციაციის“ გახსნის ცერემონია გაიმართა. სააგენტოს მიზანი რეგიონის ქრისტიანთა პრობლემების გაშუქებაა. „ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში დევნილი ქრისტიანები გავაძლიეროთ და გავამხნევოთ. მოვიდა დრო, რომ მსოფლიომ ჩვენი ხმა გაიგონოს“, - აღნიშნა გახსნის ცერემონიაზე ერბილის ქალდეველთა მთავარეპისკოპოსმა ბაშარ ვარდამ.

რომი. ვათიკანი. წმ. პეტრის მაძარი

პაპმა ფრანცისკემ რუსეთი და უკრაინა
მარიამის უმანკო გულს მიუძღვნა.
მიძღვნის აქთს შეურთდნენ მთელი
მსოფლიოს პატოლიკები, მათ შორის
საქართველოდან.



წმიდა იოსების დღესასწაული პრალეში

19 მარტს კათოლიკე ეკლესია წმიდა იოსების დღესასწაულს აღნიშნავს. ეს დღე განსაკუთრებულად აღინიშნა სოფელ არალში, რადგან აქ არსებული ტაძარი, რომელიც 161 წელს ითვლის, სწორედ წმ. იოსების სახელზეა ნაკურთხი.

2021 წლის 19 მარტს არალში სადღესასწაულო წირვა თბილისის საკათედრო ტაძრის წინამდღვარმა, მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა აღავლინა.

ქადაგება წარმოთქვა ვატიკანის ელჩიმა საქართველოში, არქიეპისკოპოსმა უოზე აველინო ბეტენკურმა; მან ყურადღება გაამახვილა წმ.

იოსების ღირსებებზე: „წმიდა იოსებს უწოდეს მდუმარე რაინდი, იგი მთლიანად მოცულია ღმერთით. მან ღვთისადმი მსახურება აირჩია, წმ. იოსები გონიერი ადამიანია...“.

სადღესასწაულო წირვაში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, მონაზვნები და მრევლის წევრები საქართველოს სხვადასხვა სამრევლოდან.

წმ. წირვის შემდეგ სამრევლოს ახალგაზრდებმა და ბავშვებმა სტუმრებისთვის მცირე ლონისძიება გამართეს.



ინტერნაციონალური ლოცვა მშვიდობისათვის

წმიდა საყდრის დესპანისა და დიპლომატიური

კორპუსის დუაიენის

მისი აღმატებულება არქიეპისკოპოს უოზე ა.

ბეტანკურის სიტყვა

თქვენო აღმატებულებანო, ელჩებო,
პატივცემულო რელიგიურო ლიდერებო,
რელიგიურ კონფესიათა გამორჩეულო
წარმომადგენელნო,
ძვირფასო მეგობრებო,

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მშვიდობის ტაძარში
მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, ევანგელიუ-



ბაპტისტური ეკლესიის თბილისის მიტროპოლიტის, მეუფე პროფესორ მალხაზ სონღულაშვილის მოწვევით, უკრაინაში მშვიდობისადმი მიძღვნილი სარწმუნეობათაშორისი ლოცვისთვის. ვისმენთ ებრაული, ქრისტიანული, მუსლიმური, იეზიდური ტრადიციების წმინდა ტექსტებს, იმ პერიოდში, როცა ებრაელები იზეიმებენ პასექს, ქრისტიანები დიდმარხვაში არიან, მუსლიმებმა ეს-ესაა დაიწყეს რამადანის წმინდა თვე, ხოლო იეზიდებმა ახლახანს იზიმეს თავიანთი ახალი წელი. ომი უკრაინაში უკვე 43 დღეა მიდის. ჩვენ კი აქ შევიკრიბეთ, რადგან ყველა ჩვენგანის რწმენა გვეუბნება, რომ უკრაინაში არასწორი ომი მიმდინარეობს, რომ ომი საერთოდ არასწორია და ჩვენს მსოფლიოს მშვიდობა სჭირდება!

შევცერ ამ ტაძრის კედლებზე არსებულ გამოსახულებებს და მეც პაპ ფრანცისკესთან ერთად ვიმეორებ მის სამშვიდობო მოწოდებას: „სისხლისა და ცრემლის მდინარენი მოედინება უკრაინაში“. ომი ჩვენს თვალწინ მშვინვარებს და თესავს სიკვდილს, მოაქვს ნგრევა და ტანჯვა-ვაება. ეს უგუნურებაა. ეს აღვირახსნილი სისასტიკეა. ომის გაჩალება ადამიანობის დავიწყება. ეს ეშმაკისეული საქმეა, ძალაუფლების უკულმართად გამოყენება კერძო ინტერესებისთვის. ომი დავის გადაწყვეტა არაა.

შეაჩერეთ ომი! დაიწყეთ კონსტრუქციული დიალოგი, რათა დასრულდეს ეს უზარმაზარი ჰუმანიტარული ტრაგედია, ბავშვებისა და დაუცველი ადამიანების ბარბაროსული დევნა და ხოცვა-ულეტვა. ქალაქები სასაფლაოებად იქცა.

ომის ღმერთი არ არსებობს. ღმერთი მშვიდობაა. ძალადობის მხარდამჭერი - ღმერთის მგმობელია. ვითხოვთ შეწყდეს შეიარაღებული თავდასხმები, გამარჯვოს საღმა აზრმა, გამართოს ჭეშმარიტი და ქმედითი მოლაპარაკებები მშვიდობის დასამყარებლად, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. დაცული უნდა იქნას ჰუმანიტარული დერეფნები.

ამ უკუნით გარემოცულებს გვაცისკროვნებს სხვადასხვა რელიგიების წმინდა ტექსტებიდან მომდინარე სინათლე. ამ ტექსტების მოსმენა ჩაგვაგონებს მშვიდობის ჭეშმარიტებას. ეს განმნენდი შუქი ექოსავით ჩაესმის ადგილობრივ საკრებულოსა თუ გლობალურ ადამიანურ ოჯახს. ეს ნათელი ვერასდროს ვერ უნდა დაბინძოს სამარცხვინო წყვდიადმა, როცა ზოგიერთების რელიგიური რწმენა მკრეხელობად იქცევა და წმინდათანმინდა ადამიანური ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გასამართლებლად გამოიყენება.

რამდენჯერ დაგვიდგამს ომის ტრაგედიების მოსაგონარი მონუმენტები! ღამის ეს მონუმენტები საფლავის ქვებივით გადაეფარონ ქალაქებს, რათა შეგვახსენონ ომის საშინელებანი. და მაინც, რაოდენ უპრიანი და სამართლიანი იქნებოდა რელიგიურ ლიდერებსა და მორწმუნებებს ხმა აღმაღლებინათ დიალოგისა და მშვიდობის მხარდასაჭერად!

ჩვენ მოვალენი ვართ ვაშენოთ მშვიდობიანი თანაარსებობა. მოწოდებული ვართ ვიყოთ ჭეშმარიტი მიმდევარნი „ოქროს წესისა“, რომელიც, ასე თუ ისე, საერთოა ყველა რელიგიისათვის. ჩვენ გვსურს ხელი შეეუწყის საყოველთაო ურთიერთბატივისცემასა და სოლიდარობას. ეს ყველას გვეხება, განზენურავინ გადგება - დაე, ყოველი მორწმუნე ადამიანი იქცეს მანათობელ შუქურად.

ჩვენ ვერ მოვისვენებთ. ჩვენი მოწოდებაა - „ლვოთის გულისათვის, შეაჩერეთ ეს სასაკლაო!“. ამიტომაც ვლოცულობთ. ამიტომაც ვევედრებით ღმერთს. ვლოცულობთ, რათა გადასხვაფერდეს ომის გამჩალებლების გული და გონება. ვლოცულობთ, რათა უფალმა შემდგომი სისხლისლვრისგან დაიფაროს ძვირფასი უკრაინელი ერი. ვლოცულობთ ყველა ტანჯულისთვის, მათთვის ვისი მამები, დედები, დები, ძმები მეუღლეები და ბავშვებიც შეენირნენ ამ ბარბაროსულ ომს.

ამ საღამოს, ფართო საზოგადოება შეიკრიბა სოლიდარობისა და თანადგომის სულისკვეთებით, რათა ილოცოს მშვიდობისთვის. წმინდა ტექსტები, რომელთაც ვისმენთ, მრავალსაუკუნოვანი სიბრძნეა, ნათელი, რომელიც მიუძღვდა ადამიანებს მშვიდობასა თუ ძნელბედობაში. ჩვენი რწმენა გვასწავლის, რომ ჩვენი დღევანდელი ტკივილი შვებას წარმოშობს, რამეთუ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია და უთუოდ გამარჯვებს.

როგორც დიდი რუსთაველი ბრძანებს: „ბოროტსა სძლია კეთილმან - არსება მისი გრძელია“

აღდგომის ტაძარი მარმერაში (ვენეცია)



მსოფლიოში არცთუ ისე ბევრია ქრისტიანთა უმთავრესი რწმენის - უფლის აღდგომისადმი მიძღვნილი ძველი და ახალი ეკლესია. „ქრისტე თუ არ აღმდგარა, ფუჭია თქვენი რწმენაც და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ“ (1 კორ. 14,12-17). პირველი მოწმობები უფლის აღდგომის შესახებ, რაც მოცემულია სახარებაში, III ს-ის შუა სანებში აღმოაჩინეს სირიაში, დურა ევროპოსის (Dura Europos) ბაპტისტერიუმის ფრესკებზე, სადაც გამოსახული არიან მენელსაცხებლე დედაკაცები უფლის (კარიელი სამარხის ნინ. მომდევნო საუკუნეებში იგივე იკონოგრაფიული სცენა აღმოაჩინეს ანასტასის ბაზილიკაში (basilica dell'Anastasis - აღდგომის ტაძარი), რომელიც 326 წელს აიგო კონსტანტინეს მიერ იერუსალიმში, სწორედ იმ ადგილზე, სადაც წმ. ელენემ, მისმა დედამ, უფლის ვნების ადგილები აღმოაჩინა; ტაძარს მრგვალი ფორმა ჰქონდა, რომაული ტრადიციის შესაბამისად, იმპერატორთა მავზოლეუმების მსგავსად, რათა პატივი მიეგო ამ წმიდა ადგილებისთვის.

რომში წმიდა ადგილებისადმი თაყვანისცემა მაშინ დაიწყო, როცა ჯერ იერუსალიმში ააგეს ტაძარი წმიდა ჯვრის სახელზე, მოგვიანებით კი, V ს-ის დასაწყისში, - რავენაში, უფლის აღდგომის სახელზე. XI-XII საუკუნეებში მომლოცველობით და იერუსალიმში წმიდა საფლავის გამოხსნით, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის (1099 წლის 15 ივლისი) დროს, ევროპაში რამდენიმე ტაძარი აიგო წმიდა საფლავის პატივსაცემად, როგორც საფრანგეთში (კლუნი), ასევე, ინგლისა და იტალიაში; სულთან სალადინის მიერ წმიდა საფლავის დაპყრობამ (1187) მომლოცველობის ახალი ფენომენი წარმოშვა კამპოსტელაში (ესპანეთი), მოციქულ იაკობის საფლავზე, რამაც ჩაანაცვლა იერუსალიმში მომლოცველობა. ვატიკანის მეორე კრებამ (1962-65), რომელმაც ლიტურგიული რეფორმის ცენტრში მოაქცია საპასექო საიდუმლო უფლისა, ანუ მისი სიკედილი, დაკრძალვა, აღდგომა და ამაღლება, ასევე ბიძგი მისცა ახალი ეკლესიების მშენებლობას;

ამ პერიოდის შემდგომ აგებულ უფლის აღ-

სამანგებო ჩანართი



დგომისა და წმიდა საფლავისადმი მიძღვნილ ეკლესიებს, სამწუხაროდ, ბევრს ვერ ვიპოვით და, ამავდროულად, გარკვეულწილად საეჭვოა, რომ ისინი აგებულიყო. უფლის აღდგომისადმი მიძღვნილი ახალი ეკლესიები გვხვდება იტალიის სხვადასხვა ქალაქში (მილანი: ვიალბა, 1963 წელი, არქიტექტორი ბენვენუტო ვილა, კიდევ ერთი ეკლესია ასევე მილანში, სესტო სან ჯოვანიში (SESTO SAN GIOVANNI), არქიტექტორი ჩინო ძუკი; ვიარეჯო, მშენებლობა დაიწყო 2015 წელს; კატანია, რაგუზა, რომი, პრატო), საფრანგეთში (რენი, არქიტექტორი ალვარ სიძა, მშენებლობა დაიწყო 1971 წელს; ევრი, არქიტექტორი მარიო ბოტა, მშენებლობა დაიწყო 1991 წელს), გერმანიაში (კელნი, არქიტექტორი გოტფრიდ ბიომი, მშენებლობა დაიწყო 1957წ.).

ამჯერად, მე ავირჩიე მარგერაში (ცენეცია) აგებული აღდგომის ეკლესია, არა იმდენად მისი არქიტექტურის, არამედ, ჩემი შეხედულებით, იმ ვიტრაჟებისა და სიმბოლიზმის გამო, რასაც ის გვთავაზობს. მისი პირველი ქვა ჩაიდო 1996 წლის 14 იანვარს. ტაძარი იკურთხა ვენეციის პატრიარქის, კარდინალ მარკო ჩეს მიერ (Marco Cè) 1997 წლის 5 ოქტომბერს.

არქიტექტურა

უფლის აღდგომის საიდუმლოს გამოსავლენად არქიტექტორმა ჯოვანი ძანეტიმ იზრუნა იმაზე, რომ ყველა არქიტექტურული ხაზი, დარბაზის ტრაპეციული ფორმა (უფრო ვიწრო მხარეს პრესვიტერიუმი და აფსიდა), ვიწრო და წაგრძელებული თაღოვანი სახურავი, ყველაფერი მიმართულიყო პრესვიტერიუმისაკენ, რათა მრგვალი სარკმ-



ლიდან შემოსული ბუნებრივი სინათლის მეშვეობით მთელი ყურადღება გამახვილებულიყო ერნანი კოსტანტინის ტილოზე, სადაც გამოსახულია უფლის აღდგომა და რომელიც განთავსებულია ორად გაპობილი კედლის შიგნით: თითქოს მიწა იხსნება, რათა აღსდგეს ქრისტე, სიკვდილის დამთრგუნველი. ქრისტესთან ერთად, აღდგომის მოვლენის მონაწილეა მთელი კაცობრიობა, წარმოდგენილი ქრისტეს ქვეშ მყოფი ადამიან-





ებით, მის სუდარაში რომ გახვეულან (ტილო, ზეთი, 2.00 և 8.00). ცენტრალური განათება ამ სიმბოლიკის გაგრძელებაა: ქრისტეს აღდგომით ზეცა შუაზე იხლიჩება, ანუ ცა უკვე ხილვადი და მისაწვდომია მთელი ეკლესიისა და კაცობრიობისათვის.

ფრესკა შეგვახსენებს წმიდა წერილის სხვადასხვა ტექსტებს და მრწამსა:

„... და აღსდგა მესამესა დღესა ვთარცა წერილშია და ამაღლდა ზეცად...“



„როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში“ (1 კორ. 15, 22)

„...სამარხები გაიხსნა და ბევრი განსვენებული წმიდის სახული აღდგა“ (მათ. 27, 52)

მთავარი განათებისა და აფსიდის „ვარდის სარკმლის“ ფერები დიდების ფერებია (ყვითელი და ცისფერი), რომელშიც შედის ქრისტე და მასთან ერთად მთელი კაცობრიობა.

პრესვიტერიუმი ამაღლებულია ოთხი საფეხურით, როგორც სიმბოლო ოთხი სახარებისა, ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის შესახებ რომ მოვითხრობენ. პრესვიტერიუმში ასევე ვხვდებით აღდგომის ორ სხვა სიმბოლოს: საკურთხეველი, მარმარილოს საყრდენით, რომლის წინ ქვის ლოდია: უფლის სამარხის გადაგორებული ქვა. მეორე ნიშანი აღდგომის ტილოს გვერდით კედელზე გამოსახული ცარიელი ჯვარია: ჯვარი ცარიელია, ვინაიდან ქრისტე აღდგა. სადღესასწაულო დღეებში ეს ცარიელი ჯვარი ყვავილებით ივსება: ჯვრის გამომხმარი ხე ქრისტეს სიკვდილთან და აღდგომასთან ერთად აყვავდება.


სიმბოლური მინიშნებები

მარჯვენა კარი - წყლის

კარი, განწმედისა და ახალი სიცოცხლის გზა; ამ მხრიდან აღდგომამდე მისასვლელად უნდა გაიაროთ ნათლობისა და შერიგების საიდუმლო.

მარცხენა კარი - ცეცხლის კარი, ნუგეშის გზა; ამ მხრიდან აღდგომამდე მისასვლელად გავდივართ მარიამის, სულინმიდის (სამლოცველოს განათება) და ევქარისტის (სამლოცველოს ტაბერნაკულუმი) მეშვეობით.

ცენტრალური კარი - სასოების კარი, ახალი ცისა და ახალი



სამოქანი განხარტი

მიწის მოლოდინი. არქიტექტორ ერნანი კოსტანტინის გრაფიტი, შესასვლელი კარის ზემოთ, მუქ ყავისფერ ფონზეა (სევდისა და ურნმუნობის წყვდიადი) შესრულებული და გამოსახავს მენელსაცხებლე დედაკაცებს, იესოს სამარხისკენ რომ მიეშურებიან და გზად კითხულობენ: „ვინ გადააგორებს ქვას?“ ქვას გადაგორებულს იპოვნიან, ხოლო სამარხს - ცარიელს. გრაფიტის მუქი ფერისგან განსხვავებით, პრეს-ვიტერიუმის მხრიდან ეკლესიის გასხივოსნებულ დარბაზში შესვლისას, გვაოცებს მისი სიკაშკაშე და ეს ყველაფერი გვაიძულებს მზერა გადავიტანოთ აფსიდაზე, სადაც აღდგომაა გამოსახული.

ამ კარის ვიტრაჟის ზედა ნაწილზე გამოსახულია ვარსკვლავები და პლანეტები, ხოლო ქვედაზე - მიწა, წყალი და ფოთლები. ცენტრალური კარი აღნიშნავს მთავარ გზას, რომელსაც აღდგომამდე, ღვთის სიტყვამდე (კათედრა) და ჯვრამდე მივყავართ.

ამრიგად, ეკლესიის შესასვლელი თითოეულს უხმობს თავისი საკუთარი გზა გაიაროს აღმდგარ ქრისტემდე მისასვლელად.

ასევე, გასვლისას, ქრისტიანი მოხმობილია ამქვეყნად დაამონმოს თავისი რწმენა. იმედის მოწმობით გავდივართ ცენტრალური კარიდან: იმედი სიცოცხლესა და სიკვდილში.

სწორედ ცენტრალური კარიდან მიაცილებენ მორნმუნე მიცვალებულებს სასაფლაოსკენ, ახალი ზეცისა და ახალი მიწის მოლოდინში.

წყლის კარიდან გასული მორნმუნენი ნათლობით ნაზიარებ და შემრიგებლობის მადლით განახლებულ რწმენას ამონმებენ.

ცეცხლის კარიდან გასულები ღვთის გულმოწყალებას ამონმებენ ამქვეყნად, ცხოვრობენ მარიამის მსგავსად, სულინმიდის მადლითა და ევეკარისტიის ძალით.

სკულპტურული ნამუშევრები ეკუთვნის ალბერტო ფიორინის (ქალაქ ავიანოდან): საკურთხეველი, ამბიონი, ბაპტისტერიუმი და ნაკურთხი წყლის ჭურჭელი.

ბაპტისტერიუმი, რომელიც პრესვიტერიუმის მარცხნივაა განთავსებული, ფართო ვიტრაჟით გადის აყვავებულ ბაღში.

ფერწერული ნამუშევრები ეკუთვნის ერნანი კოსტანტინის: აღდგომა, იოანე ნათლისცემისა და იესოს ნათლობა, მრუში დედაკაცის შეწყალება (გრაფიტი მთავარი შესასვლელი კარის ზედა ფასადზე)

იორდანი - (ტილო ზეთში, 3,50 ხ 2,00 მ);

ლუკა 3,16: „იოანემ თქვა: მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი... ის მოგნათლავთ თქვენ სულინმიდით და ცეცხლით“.

მარკოზი 16,15-16: „მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას. ვინც ირნმუნებს და მოინათლება, გადარჩება“.

მრუში დედაკაცი - (ტილო ზეთში 1,20 ხ მ 2,20);


იოანე 8,7: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან დაჰკრას ქვა!“

იოანე 8,11: „უთხრა იესომ: ქალო, სად არიან შენი ბრალმდებელნი?“

მოზაიკა: ქრისტე სამყაროს მეუფე (საკურთხევლის ნინა მხარეს), ავტორი: მალვესტიტო.

ხის ჯვარცმა (700 ნ.) - მთავარში შესასვლელში, მარჯვნივ.

ერნანი კოსტანტინის სხვა ნამუშევრები ნარმოდგენილია მარცხენა მხარეს, სამლოცველოში.



საბოლოო კერძები

კოლომბა (Colomba di Pasqua) -
ტრადიციული იტალიური ნამცხვარი



თითქმის ყველა ევროპულმა ქვეყანამ შეიძლება მოიწონოს თავი საფირმო სააღდგომო ნამცხვრებით. იტალიაში ეს არის სააღდგომო კექი „კოლომბა“. ტრადიციულად ის ცხვება მტრედის ან ჯვრის ფორმით, რადგან ფრინველის გაშლილი ფრთები ჯვარს მოვაგონებს. ტორტი უგემრიელესი და ძალიან არომატულია.

ლორი და ლორის ბარკალი



შემწვარი ღორის ბარკალი პოპულარული სააღდგომო რეცეპტია. ხორცს წინასწარ ხარშავენ, ფარავენ ხილის მინანქრით (ფორთოხლის ან მსხლის) და წვავენ ღუმელში ოქროსფერ შეფერილობამდე. კერძი შეგიძლიათ მიიტანოთ სააღდგომო სუფრაზე და მეორე დღესაც ვახშმად მიირთვათ.

მწვანე სალათა და
საგაზაფხულო ბოსტნეულის კერძები



სალათა, ძირითადად, უნდა შედგებოდეს სატაცურისა და იხვის ხორცისაგან. კარტოფილის გრატენი, ყვავილოვანი კომბოსტოს პიურე, ახალი სატაცური, კარამელიზებული სტაფილო, ბარდა ბეკონით, საუზმე ავოკადოთი და მსუბუქი მწვანე სალათა - დასავლეთ ევროპის სააღდგომო სუფრების ძირითადი ნაწილია.

ცხვრის ხორცის კერძი



გაზაფხული ბატქნის სეზონია. დელიკატესად მიიჩნევა კრავის ხორცი, რომელიც ძალიან რბილი და გემრიელია. ის ხელმისაწვდომია ზამთარის ბოლოს და გაზაფხულზე, ამიტომ მას ხშირად ამზადებენ ალდგომას. გარდა ამისა, კრავს რიტუალური მნიშვნელობაც აქვს, რადგან „ღვთის კრავი“, ახალი ალთქმის მიხედვით, იესო ქრისტეს ერთ-ერთი სახელწოდებაა. კრავი განასახიერებს იესოს მსხვერპლშენირვას ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად.

ჰოლონი კელი



ობოლი მოზარდი ჰოლონი კელი ძალიან ღარიბი იყო. ლუკმა-პურის მოსაპოვებლად და განათლების მისაღებად მას კარდაკარ დაჰქონდა სხვადასხვა წვრილმანი გასაყიდად.

ერთ დღესაც ცენტიც აღარ დარჩა ჯიბეში. შიმშილით გატანჯულმა გადაწყვიტა, უახლოეს სახლში მისულიყო და საჭმელი ეთხოვა. იგი საშინლად უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ სახლს რომ მიუახლოვდა, გამბედაობა მოიკრიბა: უარს მეტყვიან თუ არა, სულ ერთია, მოხდეს, რაც მოსახდენია. მან თამამად გაიწოდა ხელი ზარისკენ და რამდენჯერმე დააჭირა ღილაკს, მაგრამ როდესაც კარი ახალგაზრდა და მეტად მშვენიერმა ქალიშვილმა გააღო, ჰოლონი უეცრად დაიბნა. გაბედულება დაკარგა, უბრალოდ შერცხვა, მისთვის საჭმელი რომ უნდა ეთხოვა. აღელვებულმა ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:

- შეიძლება... გთხოვოთ... ერთი ჭიქა წყალი?

ქალიშვილი მიხვდა, რომ ახალგაზრდა მშიერი იყო და მას პირთამდე რძით სავსე ჭიქა მიაწოდა. ჰოლონი აუჩქარებლად დალია და ჰკითხა:

- რამდენი მმართებს თქვენი?

- ჩემი არაფერი გმართებთ, - უპასუხა ქალიშ-

ვილმა, - დედა მასწავლიდა, რომ სიკეთე უანგაროდ მეკეთებინა.

- მაშინ გულწრფელად გიხდით მადლობას! - უთხრა ჰოლონი.

სახლიდან გამოსულმა კელიმ თავი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც უფრო ძლიერად იგრძნო. ახლა იგი დარწმუნდა, რომ სანამ ამქვეყნად ესოდენ გულუხვი და კეთილი ადამიანები არსებობენ, ყველაფერი კარგად იქნება!

გავიდა რამდენიმე წელი. და აი, ერთ დღესაც ამ ქალაქის მკვიდრი ახალგაზრდა ქალი მძიმედ დაავადდა. ადგილობრივმა ექიმებმა არ იცოდნენ რა გაეკეთებინათ. საბოლოოდ, მათ გადაწყვიტეს, იგი დიდ ქალაქში გაეგზავნათ გამოცდილ სპეციალისტებთან გამოსაკვლევად. კონსულტაციაზე მიწვეულთა შორის დოქტორი ჰოლონი კელიც აღმოჩნდა. მას სახე გაუბრწყინდა, როცა შეიტყო იმ ქალაქის სახელწოდება, საიდანაც ქალი ჩამოვიდა. მაშინვე ადგა და მისი პალატისკენ გაეშურა. მგზავრობით დაღლილ ქალს ეძინა. ექიმი ჩუმად შევიდა პალატაში და მაშინვე იცნო იგი. დიახ, ის იყო - იგივე გოგონა, რომელიც ერთხელ ჭიქა

რძით გაუმასპინძლდა. მისი ავადმყოფობის ისტორიისა და ანალიზის შედეგების შესწავლის შემდეგ ექიმს სახე მოეღუძა: „განწირულია!“ ჰოვარდი თავის კაბინეტში დაბრუნდა, ცოტა ხანს მდუმარე იჯდა და რაღაცას განსჯიდა. ფიქრობდა ამ ქალზე, ბედის უსამართლობაზე, რომ უძლური იყო მის დასახმარებლად. მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ემატებოდა მხნეობა. ბოლოს სკამიდან წამოხტა და თქვა: „არა, ყველაფერს გავაკეთებ მის გადასარჩენად!“

ამ დღიდან დოქტორი ჰოვარდ კელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ავადმყოფ პაციენტს. და აი, თითქმის რვათვიანი ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დოქტორმა კელიმ საშინელი დაავადება დაამარცხა. ახალგაზრდა ქალის სიცოცხლეს უკვე აღარ ემუქრებოდა საფრთხე. დოქტორმა კელიმ ჰოსპიტლის ბულალტერიას სთხოვა, მოემზადებინათ მისთვის მკურნალობის ხარჯები. როდესაც მას ანგარიში წარუდგინეს, თანხა, რომელიც ქალს უნდა გადაეხადა განკურნებისთვის, მეტისმეტად დიდი იყო. გასაკვირი არც არის - შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ ქვეყნიდან მოაბრუნეს. დოქტორმა კელიმ ანგარიშს დახედა, კალამი აიღო, ქვითარს რაღაც მიანერა და სთხოვა, ქალის ოთახში მიეტანათ.

ქალს შეეშინდა, გაეხსნა ქვითარი და ანგარიში ენახა. დარწმუნებული იყო, რომ თანხის გადასახდელად სიცოცხლის ბოლომდე მოუწვდა, მუხლჩაუდრეკლად ეშრომა. როგორც იქნა, თავს სძლია და ანგარიშს დახედა. პირველი, რამაც მისი ყურადღება მიიქცია, იყო ხელით შესრულებული წარწერა პირდაპირ იმ სტრიქონის ქვეშ, სადაც ეწერა სიტყვა „გადასახდელია“. ქალმა ამოკითხა: „სრულად გადახდილია ჭიქა რძით. დოქტორი ჰოვარდ კელი“. სიხარულის ცრემლები გადმოიღვარა მის თვალთაგან, გული სითბოთი და მადლიერებით აევსო.

ეს ზღაპრული ამბავი მოგვაგონებს ბიბლიურ სიბრძნეს: „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“. მაგრამ ის არც იგავია და არც მხატვრული წარმოები.

დოქტორი კელი (Howard Kelly, 1858-1943) არის არა გამოგონილი პიროვნება, არამედ ცნობილი თერაპევტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯონს ჰოპკინსის პირველი სამედიცინო კვლევითი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ასევე წამდვილია ამბავი ჭიქა რძის შესახებ, რომელიც მისივე ბიოგრაფის მიერაა ჩაწერილი.

ჰოვარდ კელი (Howard Atwood Kelly) - ამერიკელი ექიმი-გინეკოლოგი, ალიზარდა ღარიბოჯახში. 1877 წელს დაამთავრა ჰენსილვანიის უნივერსიტეტი, 1882 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო მაკვილის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წევრი. შემდეგ ჩავიდა კენსინგტონში, სადაც გინეკოლოგიურ პრაქტიკას ეწეოდა. მოგვიანებით იგი გაემგზავრა ევროპაში, სადაც მოინახულა მუცლის ღრუსა და მენჯის ღრუს საუკეთესო ქირურგები, კერძოდ, ლუი პასტერი. დაბრუნდა ჰენსილვანიის შტატის უნივერსიტეტში მეანობის შესასწავლად. დააარსა კენსინგტონის ქალთა საავადმყოფო. იგი არის ჯონს ჰოპკინსის საავადმყოფოს ერთ-ერთი დამაარსებელი (1889) და მისივე სახელობის უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის პროფესორი.

ჰოპკინსში 30-წლიანი კარიერის განმავლობაში კელიმ შეიმუშავა ახალი ქირურგიული მეთოდები ქალთა დაავადებების სამკურნალოდ, გამოიგონა მრავალი სამედიცინო მოწყობილობა, მათ შორის, ცისტოსკოპი. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შესთავაზა რადიუმის გამოყენება კიბოს სამკურნალოდ, მისი პირველი პაციენტი მისივე დეიდა იყო. მან დააარსა კლინიკა ბალტიმორში, რომელიც იქცა იმ დროისათვის ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად სხივურ თერაპიაში.



შვიდასი წლისთავი დანტე ალიგიორის დაბადებიდან



მამონაციალური, დასახური „საბა“ № 01 (313) 2022

ბ) ნეშტან დაკავშირებული მოვლენები

პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათ-წლეულის შემდეგ დანტეს ნეშტი რავენელებსა და ფლორენციელებს შორის კამათის საგნად იქცა, მას მერე, რაც კომედიის ავტორი თანამოქალაქეებმა „ხელახლა აღმოაჩინეს“ ბოკაჩიოს პროპაგანდის წყალობით. ფლორენცია ცდილობდა, პოეტის ნეშტი გადაერჩინა, ფრანცისკელმა ბერებმა პიეტრო ლომბარდის მიერ აგებული სამარხიდან ძვლები ამოიღეს და საიდუმლო ადგილას დამალეს. ნეშტს კიდევ ერთი საფრთხე შეექმნა, როდესაც 1810 წელს ნაპოლეონის ბრძანებით რელიგიური ორდენების ჩამონაბა გადაწყვდა. ბერებმა, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემდნენ პოეტის ნეშტს, მისი დამალვა გადაწყვიტეს, ის მოათავსეს ხის ყუთში ლათინური წარწერით, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე ბერი ანტონიო სატი (1677) და რავენას წყნარ უბანში, ბრაჩიოფორტეს კვადრარკოს (Quadrarco Braccioforte) მიმდებარე ორატორიუმის გალავნიან კარში დამალეს. ნეშტი სამუდამოდ იქ დარჩებოდა, 1865 წელს შემთხვევით რომ არ აღმოეჩინა ერთ-ერთ მუშას, რომელიც, პოეტის დაბადების მეექვსე ასწლეულთან დაკავშირებით,

მონასტრის რესტავრაციაზე მუშაობდა. გადაწყდა, რომ ყუთი გაეხსნათ მორიჯას პატარა ეკლესიაში; ყუთი ცარიელი იყო, მასში მხოლოდ სამი ფალანგი იდო, რომელიც ემთხვეოდა კარის ქვეშ აღმოჩენილ ნაშთებს, რაც ავტენტურობას ადასტურებდა. მოხდა ცხედრის ხელახალი რეკონსტრუქცია, რამდენიმე თვის განმავლობაში ის მინის სარკოფაგში იყო მოთავსებული, შემდეგ კი ტყვიის გარსით დაცულ კაკლის ყუთში გადაიტანეს და დაკრძალეს მორიჯას პატარა ეკლესიაში. მოგვეპოვება პოეტის მხოლოდ ფერწერული პორტრეტი, რომელსაც ასე აღწერდა ბოკაჩი: „მაშასადამე, ჩვენი პოეტი საშუალო სიმაღლისა იყო... გრძელი სახით, არწივისებრი ცვეირით; ხოლო თვალები პატარაზე უფრო დიდი ჰქონდა, ფართო ყბებით... მუქი, სქელი თმა და წვერი... სახე ყოველთვის მელანქოლიური და ფიქრიანი“ (Trattatello in laude di Dante, XX)

ლიტერატურული ნანარმოებები

დანტეს ნაშრომები:

Il Fiore e Detto d'Amore - ყვავილი და სიყვარულზე თქმული - ორი პოეტური ნაშრომი ვულგარულ ენაზე, დახვენილი ლექსიკითა და სტილით, შეიქმნა დაახლოებით 1283-1287 წლებში. მიეკუთვნება მხოლოდ დანტეს.

Le Rime - ლექსები - ეს არის თანამედროვე გამომცემლების მიერ შედგენილი კრებული, რომელიც დანტეს ჭაბუკობისა და სიმწიფის დროინდელ ლირიკულ ნაშრომებს აერთიანებს. მოიცავს ორ პერიოდს: ახალგაზრდობის დროინდელ ლექსებს (რომლებიც იმდროინდელი ბურჟუაზიული ლირიკის სხვადასხვა ტენდენციებს ასახავს) და გაძვების დროინდელ ლექსებს.

Vita Nova - ახალი სიცოცხლე - რომანი, სადაც ასახულია დანტეს სიყვარული ბეატრიჩესადმი. დაწერილია პროზიმეტრით (ლათ. წროსიმეტრუმ - ლიტერატურული ფორმა, ერთ ნაწარმოები შეერთებული პროზაული და პოეტური ფრაგმენტები). მისი შექმნის პერიოდი მოიცავს სავარაუდო 1292 - 1293 წლებს ან 1300 წელს, თარიღი თავად ადრესატის, გვიდო კავალეანტის გარდაცვალებას ემთხვევა. ეს ნაშრომი განსაკუთრებით აღიარებულია აშშ-ში, სადაც ითარგმნა ფილოსოფისისა და ფილოლოგის, რალფ ვალდო ემერსონის მიერ.

ჩონვიკიო - დღესასწაული - (ლათ. ჩონვიკიუმ - სიბრძნის „დღესასწაული“). ეს არის დანტეს პირველი ნაშრომი, რომელიც მან ფლორენციიდან იძულებითი გადასახლებისთანავე შექმნა და წარმოადგენს ტრაქტატს „სამოქალაქო“ (ცივილურ) მიზანზე, რაც ლიტერატურამ უნდა გააღვივოს ადამიანში. ეს ნამდვილი ენციკლოპედია ყველაზე მნიშვნელოვან სიბრძნეზე, განსაკუთრებით მათვის, ვისაც საჯარო და სამოქალაქო მსახურება სისტემური განათლების დაუსრულებლად გადაუწყვეტია. ამიტომაც დაიწერა იგი ვულგარულ ანუ ხალხურ ენაზე. დანტე ნეტარად მიიჩნევს ხალხის იმ მცირე რაოდენობას, რომელსაც მეცნიერების სუფრაზე ზემინი ძალუძს, სადაც „ანგელოზთა პურს“ მიირთმევენ.

De vulgari eloquentia — ვულგარული მეტყველების შესახებ - ნაწარმოები ჩონვიკიო-ს თანადროულია და წარმოადგენს დანტეს მიერ 1303-1304 წლებში ლათინურად დაწერილ ტრაქტატს: პირველი წიგნი სრულია, მეორე 14 თავს შეიცავს (ორი თავი დაკარგულია). მართალია, ნაშრომი ვულგარული ენის თემას ეხება, იგი ლათინურ ენაზე დაიწერა, რადგანაც თანამოსაუბრენი, ვისაც დანტე მიმართავს, იმდროინდელ ელიტურ წრეს მიეკუთვნებიან. დანტე ვულგარულის მხურვალე დამცველად გვევლინება, მიიჩნევს, რომ ვულგარული იმსახურებდა საქვეყნოდ აღიარებას და ვირგილიუსის ენასთან გაჯიბრებას (თუ არა გათანაბრებას). თუმცა იქვე დასძენს, ასე რომ მომხდარიყო, ეს ენა უნდა ყოფილიყო დახვენილი, კარდინალური, კეთილშობილური, კურიალური (როგორც იტალიური დიდგვაროვნების ენა). დანტე იტალიურ-


ში ხედავს პანტჰერა რედოლენს - სურნელოვან პანტერას, ცხოველს, რომელიც მის ნადავლს იზიდავს (აქ: მწერალს) თავისი მომნუსხველი სუნით (იმ დროისთვის ეს არ იგრძნობოდა ნახევარუნდულზე მცხოვრებ ყველა ფენაში და რომ შეეგრძნოთ, საჭირო იყო იტალიელი ლიტერატორების ნაშრომთა გაცნობა).

De Monarchia - მონარქია - ნაშრომი 1310-1313 წლებში დაიწერა, იტალიაში იმპერატორ პენრი VII ლუქსემბურგელის შემოსვლასთან დაკავშირებით. შექმნა სამ წიგნად, ეს არის ტრაქტატი იდეალური სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის შესახებ: 1. საჭიროა საყოველთაო და ავტონომიური იმპერია; 2. რომაელთა მხრიდან იმპერიის უფლების ლეგიტიმაცია; 3. მონარქიული ავტორიტეტი არის ღმრთის ნება, არ ემორჩილება პაპის ძალაუფლებას (თუმცა მის წინაშე, - როგორც მიწაზე ღმერთის ნაცვალის, - მონარქი პატივისცემას უნდა იჩენდეს).

მამრძელება შემდეგ მომიღები



შეხედეთ პის ფრინველებს...



შაბათს, 19 მარტს, დიდმარხვის მეორე კვირის მიწურულს, კიდევ ერთხელ წავიკითხე უფლის ფერისცვალების ეპიზოდი ანტონ ხითარიანის საფლავის წინ, შრომაში, მისი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს: სწორედ ფერისცვალების ნათელში მოვიგონებ მას სიხარულითა და მადლიერებით. ეს მთა ლოცვისა და დიალოგის ადგილად იქცა. უფლის ფერნაცვალი სხეული ყველა მორწმუნისთვის გახდა სანინდარი მინას მიბარებულ სხეულთა, რათა ისინი იმავე დიდების მისაღებად განემზადონ. მამის ხმა, რომელიც იესოს თავის საყვარელ ძედ აცხადებს, იქნება იგივე ხმა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს საუკუნო ცხოვრებისკენ მოუხმობს...

ანტონი... მლოცველი, ამ ხმის შემსმენი და მამის საყვარელი ძის მსახური იყო თავისი სიტყვითა და თავისი ცხოვრებით. სოფლის გორაკებს ფეხდაფეხ შემოივლიდა ხოლმე, კათოლიკეთა ოჯახებში შედიოდა და საუბრობდა, სწორედ მისი წყალობით ბევრმა ხელახლა აღმოაჩინა ქრისტიანული რწმენა და ასე ჩამოაყალიბეს საშინაო საკრებულოები, როგორც მოციქულთა დროს, შესაძლოა, იმავე სიხარულითა და ხარვეზებით; ალბათ ანტონი უფრო მეტად იყო მსახური, ვიდრე „მუდმივი დიაკონი“ გახდებოდა, თუმცა ეს სიზარმაციის გამო კი არ მოსვლია, არამედ წლების სიმძიმისა და სხვადასხვა დაავადებათა გამო; იგი უფრო მშვიდად გრძნობდა თავს არა საზეიმო დღესასწაულებზე, არამედ საშინაო წირვებზე, კატექეზისთვის მომზადებული სუფრის გარშე-

მო, წმიდა წირვაზე და შემდეგ უკვე ერთობლივ სუფრაზე; ანტონი დიაკონი გახდა სწორედ იმ მსახურების გამო, რასაც იესოს სიყვარულით აღასრულებდა და კიდევ იმიტომ, რომ სურდა, კათოლიკებს მასში დაენახათ ნამდვილი „მსახური“, საყრდენი წერტილი, ვისაც მიმართავდნენ ქრისტიანული რწმენის საკითხებში ჩასალრმავებლად. მახსოვს მისი პირველი სიტყვები, 1999 წლის მაისს, შრომაში პირველ შეხვედრაზე: „ჩვენ ვგავართ კეთროვნებს, რომლებსაც განწმედა სჭირდებათ“; მას შემდეგ მივხვდი, რომ მისი მეტყველება გამსჭვალული იყო ცოცხალი სიტყვით ბიბლიის ყოველდღიური კითხვის შედეგად; ზეპირად ისწავლა, ლოცვად, ყოველდღიურ საკვებად, მთელი თავისი ცხოვრების საყრდენად აქცია ის... და მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი ტკივილით სავსე, სხვა არაფერი იყო, თუ არა გამეორება სიტყვებისა ბიბლიიდან, უწინარესად, იმ ლოცვისა, რაც თავად უფალმა გვასწავლა, ლოცვისა, რომელიც მისთვის იქცა ჭეშმარიტ სიხარულად, როდესაც პატარებმა ზეპირად ისწავლეს ის; სწორედ ეს სიხარული შევნიშნე ბოლო შეხვედრაზე, როცა მისმა შვილმა ზეპირად წარმოთქვა 22-ე ფსალმუნი; ეს ლოცვა მასში ხმაურივით გაისმოდა, თითქოს წყაროს წყალი ყოფილიყოს, და ამ წყალმა მიიყვანა იმ წყაროსთან, საიდანაც მოედინებოდა. მისმა სიკვდილმა; რა თქმა უნდა, სიცარიელე დაუტოვა თავის ახლობლებს, ასევე საკრებულოს, კათოლიკეთა ოჯახებს და არა მარტო მათ.

თავისთავად, სევდიანად მახსენდება ყველა ის ადამიანი, რომლებიც ჩვენი საკრებულოების საყრდენს წარმოადგენდნენ და ახლა აქ აღარ არიან; მახსენდება სამუელი ოზურგეთიდან, დიაკონი თენგიზი ბათუმიდან... ვინ დაიკავებს მათ ადგილს? ცხოვრება მართლაც სულ უფრო და უფრო მომთხოვნი ხდება ახალი თაობებისთვის, რის გამოც მათ ხშირად დრო არ რჩებათ კათოლიკური რწმენისთვის და, მით უფრო, ეკლესიაში მსახურებისთვის: მაგრამ თუკი ნამდვილად გვსურს ჩვენი მამების, მეგობრების, მორწმუნეთა ხსოვნის უკვდავყოფა, უნდა ვიზრუნოთ არა იმდენად მხოლოდ ტრადიციებზე, ან იმაზე თუ რას იტყვის ხალხი..., არამედ გავითავისოთ მათ მიერ დატოვებული რწმენა, ის, რაც ასულდგმულებდა მათ ცხოვრებას და ეკლესიაში მსახურებას; განა მათი ცხოვრება სავსე არ იყო ოჯახზე ზრუნვით,

სამართლიანი ინტერესებით? მიუხედავად ამისა, მათ ყოველთვის ჰქონდათ დრო ლოცვისთვის, საეკლესიო მსახურებისთვის, საკვირაო წირვისთვის... რატომ?


წყლითა და თოვლით გაფლენთილ შიშველ მიწაზე, გარინდებით რომ ინახავს ანტონის მოკვდავ სხეულს, პატარა, გულწითელა ჩიტი მოფრინდა და იქვე ჩამოჯდა, ხტოდა, სულაც არ ეშინოდა

ლოცვისთვის შეკრებილი ადამიანების, ჩუმს, ამ მიწაზე დადებული ყვავილებივით ნაზს, თითქოს ერთი სული ჰქონდა ეჩურჩულა ჩვენთვის: „შეხედეთ ცის ფრინველებს... შეხედეთ ველის შროშანებს... თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ... თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სამართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ“ (მდრ. მათ. 6, 26-33).

36. ბატუმში კორონავირუსით გარდაიცვალა ვაჟა ბათუმში

ა.წ. 30 იანვარს ბათუმში კორონავირუსით გარდაიცვალა ვაჟა ბათუმში; იგი 1939 წელს დაიბადა ქ. ბათუმში, ექიმთა ოჯახში. ბათუმშივე დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. მოსკოვის ყელ-ყურ-ცხვირის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლიდაზის მნიშვნელობა ლარინგო-ტრაქეო პლასტიკაში“ და ამავე ინსტიტუტის ქირურგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-მუშაკად მუშაობდა. გარკვეულ ხანს მსახურობდა გვინეის რესპუბლიკაში, შემდეგ კი მოსკოვის ყელ-ყურ-ცხვირის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში. 1982 წლიდან იგი ბათუმის ონკოცენტრში გადმოვიდა ლორ-ონკოლოგად. მას მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის ონკო-ქირურგის წოდება ლორ-დაგადებათა განხრით. 1987-88 წლებში იგი კუბის რესპუბლიკის ქალაქ ოლგინის ჰოსპიტალში დირექტორის კონსულტანტი იყო ოტო-ლარინოლოგიის საკითხებში. არის 45 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის, ოთხი ნაშრომი შესრულებული აქვს ფრანგულ და ერთი - ესპანურ ენაზე. 2012 წელს მას ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ეს არის მისი მოკლე ბიოგრაფია. ჩემი მხრივ, უბრალოდ, დავამატებდი, რომ ბატონი ვაჟა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ჩვენი მისი დასაწყისში (1995) გვიმასპინძლა და თავისი ჩუმი, მაგრამ მოკრძალებული ცხოვრებით, ბათუმის ერთი კათოლიკური ოჯახის ტრადიცია გააგრძელა და განამტკიცა. მისი ოჯახის წევრები, მეუღლე და შვილები იხსენებენ, როგორი ყურადღებით ემზადებოდა იგი ყოველკვირეული წმ. წირვისთვის, რაც უმნიშვენლოვანესი იყო მისი რწმენისა და ბათუმის კათოლიკე ეკლესიის



ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. ბევრი ახლო-ბელი იგონებს, რომ იგი, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდა ჩვენს მორწმუნებს, მაგრამ არა მხოლოდ თავისი სპეციალობით. განსაკუთრებით მასესნდება ის დღე, როდესაც მან, თავის მართლმადიდებელ მეუღლესთან ერთად, ჩვენს ეკლესიაში „შერეული“ ქორწინების წმიდა საიდუმლო აღასრულა. მახსოვს, 17 იანვარს, ეკლესიის კართან, როგორი სიყვარულით დამემშვიდობა წირვის ბოლოს, იმედიანად, რადგანაც ჯანმრთელობის გაუმჯობესებას გრძნობდა მძიმე დაავადების შემდეგ, რაც შობის დროს დაემთხვა; მახსოვს, თან ატარებდა ტრადიციულ ხელნაწერ ლოცვებს, დილა-საღამოს წარმოსათქმელ ფსალმუნებთან ერთად, ჯიბის სახარებას...

მსურს, ბათუმის კათოლიკური საკრებულოს მორწმუნეთა სახელითაც დავემშვიდობო, იმ იმედით, რომ მოგვიტევებს, თუ სათანადოდ ვერ გამოვხატეთ ჩვენი სიყვარული მისი გარდაცვალებისა და დაკრძლავის უამს: განსვენება სამარადისო მიანიჭე მას, უფალო, და შენი მარადიული ნათელი დაუმკვიდრე ყოველ გარდაცვლილს. ამენ.

ბავშვის შეკითხვები მშობლებს შორის პარუნაშვილი



ვფიქრობდი, თემატურად დიდი მარხვის შესახებ მომემზადებინა სტატია, თუმცა, მას შემდეგ რაც რუსეთის ფედერაცია თავს დაესხა უკრაინას და, ჩვენდა უნებურად, სხვა რეალობაში აღმოვჩნდით, თემის შეცვლა მომინია. 24 თებერვლიდან, ომის დაწყების დღიდანვე, დიდი თუ პატარა, მიჯაჭვულები ვართ საინფორმაციო წყაროებს, ტელევიზორს, კომპიუტერს, საიმედო ამბის მოლოდინში და ზოგჯერ სმამალლაც გამოვხატავთ ჩვენს აღმფოთებასა თუ გაღიზიანებას. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი პატარებიც ხედავენ და თავისებურად განიცდიან ამ ყოველივეს. რამდენიმე დღის წინ, ჩემმა ხუთი წლის ბიჭუნამ საინფორმაციო გადაცემაში ყური მოჰკრა წინადადებას „ჩაკეტეთ უკრაინის ცა“ და გაოცებულმა გვკითხა: „რატომ უნდა ჩაკეტონ უკრაინის ცა?“ ვეცადეთ, მარტივად აგვეხსნა, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მკითხა: „რუსეთი ვინ არის? რატომ უნდა ჩაკეტონ უკრაინის ცა? ომი რა არის?“

დარწმუნებული ვარ, ასეთი კითხვები ბევრ ბავშვს დაებადებოდა ამ ხნის მანძილზე. სამწუხაროა, როდესაც 21-ე საუკუნეში ჩვენს შვილებს უწევთ ომის შესახებ გაიგონ არა ისტორიული წიგნებიდან, არამედ პირდაპირ ეთერში იხილონ ომის შემზარავი შედეგები. ძალიან ძნელია, პატარებს ავუხსნათ თუ რატომ კლავენ ადამიანები ერთმანეთს, ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს... მეც გამიჭირდა ამის ახსნა. მოკლე, მაგრამ სევდიანი საუბრის შემდეგ ჩემს პატარას შევთავაზე გველოცა იმისთვის, რომ აღარ იხოცებოდნენ ბავშვები, მშობლები და რომ ომი აღარ ყოფილიყო არსად, სიხარულით დამთანხმდა. ლოცვის შემდეგ კი კმაყოფილმა მითხრა, ახლა კეთილები ხომ უფრო გაძლიერდებიან და დაამარცხებენ ბოროტებსო. როცა დადებითი პასუხი მიიღო, გამიღიმა ნიშნად იმისა, რომ თავისი წვლილი შეიტანა უკრაინელი ხალხის მხარდაჭერაში.

ახლა დიდი მარხვის ჟამია... ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოცვა. ჩემო პატარა მეგობრებო და მშობლებო, მოდით, ერთად ვიდლოცოთ მშვიდობისათვის, განსაკუთრებით კი უკრაინაში, სადაც ყოველ წუთს არსებობს არაერთი სიცოცხლის მოსპობის საშიშროება.

დემეტრე თბილელს!

ძმაო დემეტრე, ქრისტეს მოწამევ,
ჩინეთისაკენ მომლოცველო მისიონერო,
შენ, თანამოძმე ბერებთან ერთად,
ნილად გერგო რწმენისათვის თავის დადება.

შორს, ინდოეთში, ურწმუნოთაგან გარშემორტყმულნი,
მტკიცედ იცავდით ქრისტეს მრნამსს და უფლის სწავლებას,
მით მოიპოვეთ მოწამეთა წმინდა გვირგვინი,
პალმის რტოები, მოწამეთა ნიშანი წმინდა!

ილოცე, ძმაო, კათოლიკე ეკლესიისთვის,
წმიდა ნინოსგან ნათელლებულ მშობელ ერისთვის,
შენ დაიფარე ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა,
ევედრე უფალს ყოველ ხალხთა მშვიდობისათვის!

დიაკონი თენგიზი
ბათუმი



განსვენება საუკუნო მიანიშვ მათ, უფალო!



გიგა ჩიტავილი
* 29. 12. 1967, ვალე
† 18. 02. 2022, ვალე



გიორგი ჭავაძე
* 18. 02. 1941, თბილისი
† 08. 03. 2022, თბილისი




თამარა ათენავილი
* 19. 02. 1937, ვალე
† 25. 02. 2022, ვალე




თამარა აიგაძი
* 04. 12. 1933, ხონი
† 10. 03. 2022, ამბროლაური




ივანე კურთაძეი
* 21. 02. 1957, ვალე
† 12. 02. 2022, ვალე



კარე მილია
* 09. 08. 1965, თბილისი
† 08. 03. 2022, თბილისი



კონსალტინგ თელორაპე
* 17. 09. 1930, ასპინძა, ხიზაბაერა
† 01. 02. 2022, ახალციხე, რაბათი



კონსალტინგ ტერეპისი
* 22. 08. 1949, თბილისი
† 29. 03. 2022, თბილისი



გაეგალა განვალივალი
* 18. 06. 1949, ვალე
† 19. 02. 2022, ვალე



სიმონ ჯაიძეივილი
* 16. 07. 1947, ასპინძა, ხიზაბაერა
† 02. 02. 2022, ასპინძა, ხიზაბაერა



გალვა სულივალი
* 28. 11. 1936, ხიზაბაერა
† 21. 02. 2022, ხიზაბაერა



შოთა ხიტარიშვილი
* 02. 10. 1926, ვალე
† 24. 02. 2022, ვალე



ანგელინა კიკაძე
* 06. 09. 1933, ახალშენი
† 30. 01. 2022, ახალშენი



ვაჟა გალივალი
* 22. 01. 1939, ბათუმი
† 30. 01. 2022, ბათუმი

